საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1195
2026 წლის 12 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.ge), 25.07.2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016589) დამტკიცებული დებულების №1 დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 82^1 გრაფა:

„82^1. ხელვაჩაურის იუსტიციის სახლი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 16 მარტიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **პაატა სალია**